# სამაგისტრო ნაშრომი: კარგი კლინიკური პრაქტიკის დანერგვა სამედიცინო დაწესებულებებში


წიკლაური მარიამი

ზაქარეიშვილი ნინო


*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროექტის ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე, ასოცირებული პროფესორი


ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი წიკლაური

ნინო ზაქარეიშვილი

17.06.2018.

# აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში ჯანდაცვის დაწესებულებები უამრავი გამოწვევის წინაშეა. დღევანდელი სტანდარტებისა და მოთხოვნების სწორად და თანმიმდევრულად შესრულება უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია რეპუტაციის, საქმიანობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. ზემოთ მოცემული მიღწევის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს კარგი კლინიკური პრაქტიკის არსებობა და მისი სწორი ადმინისტრირება.

სამაგისტრო ნაშრომისა და განხორციელებული კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის შესწავლა, თუ რამდენად სწორად და მიზანმიმართულად ხორციელდება საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში კარგი კლინიკური პრაქტიკის ეროვნული სახელმძღვანელოების (გაიდლაინების) შექმნა და დანერგვა და ითვალისწინებენ თუ არა ეს დაწესებულებები არსებულ შემთხვევებში უცხო ქვეყნის მაგალითებს; ასევე, როგორ იყენებენ სამედიცინო დაწესებულებები მტკიცებულებებს, ფაქტობრივ მონაცემებსა და ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების შესახებ არსებულ ინფორმაციას სტრატეგიული დაგეგმვისა და რესურსების განაწილების პროცესში. მნიშვნელოვანია აგრეთვე იმის შეფასება, თუ რამდენად ხშირად იყენებენ სამედიცინო დაწესებულებები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ პრაქტიკას, რომელიც გულისხმობს გაიდლაინებისა და პროტოკოლების არსებობას და აღნიშნულზე დაყრდნობით კარგი კლინიკური პრაქტიკის უზრუნველყოფას.

ნაშრომის მსვლელობის პროცესში გამოკვლეული იქნა რამდენიმე სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულება, რამაც საშუალება მოგვცა ნათლად შეგვეფასებინა გაიდლაინებისა და პროტოკოლების გამოყენების პროცესში შექმნილი სირთულეები და გამოწვევები, ასევე - წარმოგვედგინა ძირითადი მიგნებები, რომლებიც განაპირობებს კარგი კლინიკური პრაქტიკის დანერგვის მდგრადი სისტემის განვითარებას.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ჯანდაცვა, კარგი კლინიკური პრაქტიკა, გაიდლაინი, პროტოკოლი.

# Abstract

Healthcare institutions face many challenges in the modern world. Proper and sequential execution of modern standards and requirements is of great importance in the context of reputation, activity and competitiveness. Availability of good clinical practice and its correct administration is an important basis of achievement of all the above mentioned.

The goal of Master's degree work and conducted research is to study how properly and purposefully are composed and implemented national guidelines of good clinical practice in medical institutions of Georgia and how they take into account in this case the example of foreign countries, and also, how the medical institutions use evidences, factual data and available information on healthcare system operation in the process of strategic planning and resource distribution. It is also important to assess how often the medical institutions use the practice established by acting legislation of Georgia, which foresees availability of guidelines and protocols and securing of good clinical practice based on the mentioned above.

In the course of the work there were studied several medical institutions of different profile that allowed us to properly assess difficulties and challenges emerged in the process of use of guidelines and protocols, as well as to represent basic findings, which secure the development of sustainable system for implementation of good clinical practice.

**Basic searching words**: healthcare, good clinical practice, guideline, protocol